ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 259

“9” ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ (ს/ნ. 243859749) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ (ს/ნ. 243859749) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ (ს/ნ. 243859749) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ (ს/ნ. 243859749) გათავისუფლების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის №23.806.894 განკარგულების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ (ს/ნ. 243859749) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით

რეგისტრირებული, 4057 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 3.1. და 3.5. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, 128 100 (ას ოცდარვა ათას ასი) ლარის ოდენობით, შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ (ს/ნ. 243859749) გათავისუფლების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე